საქართველო, ქ. თბილისი
შ.პ.ს. „მონოლითი“
202242233
თევდორე მღვდლის ქ. №5

GEORGIA, TBILISI
„MONOLITI“ L.T.D.
202242233
5 TEVDORE MGVDELI STR.

№31/13 „04“აპრილი2013 წ.

მოქალაქე ზვიად ეჯიბაძეს.

შემოწმება ჩაუტარდა ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, ვაჟა-ფშაველას II კვარტალში მდებარე №33 კორპუსს, მოქალაქე ზვიად ეჯიბაძის საცხოვრებელი ბინის (I სადარბაზო, I სართული, ბინა №1) შესაძლო რეკონსტრუქციასთან დაკავშირებით. არსებული კორპუსი თავდაპირველად იყო ხუთ სართულიანი, სავარაუდოდ ნაშენი გასული საუკუნის 60-ან წლებში. მოგვიანებით მას მიუშენდა მონოლითური რკინაბეტონის მძლავრი პილონები და ე. წ. გადაჯდენით დაშენდა ოთხი სართული. ასეთი კონსტრუქციული გადაწყვეტით არსებულ შენობასა და დაშენებულ ნაწილს ერთმანეთთან ტექნიკური კავშირი არ გააჩნიათ, ანუ დაშენებული სართულები არ გადასცემენ დატვირთვებს არსებულ შენობას.

შემოწმებით დადგინდა, რომ მთლიანად კორპუსის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია.

ზემოთ აღინიშნა, რომ მოქალაქე ზვიად ეჯიბაძეს სურვილი აქვს ჩაატაროს თავისი ბინის რეკონსტრუქცია, რისთვისაც წარმოდგენილია პროექტის არქიტექტურული ნაწილი. პროექტით გათვალისწინებულია შემდეგი:

სადარბაზოს მხრიდან მიშენებული ნაწილის მარცხენა ტორსის კედელს გააჩნია ღიობები შესაბამისად მარცხნიდან მარჯვნივ :

-პირველი ფანჯრის ღიობი ზომებით b×h=145×135სმ. (მანძილი მიწის ზედაპირიდან ღიობის რაფამდე 85სმ.).

-მეორე ფანჯრის ღიობი ზომებით b×h=145×135სმ. (მანძილი მიწის ზედაპირიდან ღიობის რაფამდე 85სმ.).

-კარის ღიობი ზომებით b×h=110×265სმ.

-მესამე ფანჯრის ღიობი (კარის ღიობის შემდეგ) ზომებით b×h=127×135სმ. (მანძილი მიწის ზედაპირიდან ღიობის რაფამდე 85სმ.).

-სარკმელი ზომებით b×h=75×41სმ. (მანძილი მიწის ზედაპირიდან სარკმლის ღიობის რაფამდე 150სმ.).

საჭიროა:

-პირველი ფანჯრის ღიობში (ზომების შენარჩუნებით) ჩაისვას თეთრი ფერის თანამედროვე ”მეტალოპლასტმასი”-ს ფანჯრის შემინული ჩარჩოები.

-მეორე ფანჯრის ღიობი ამოშენდეს 35სმ.-ით, შემდეგ ჩაიჭრას რაფისქვეშა წყობა წვრილი საკედებლე ბლოკისაგან მიწის ზედაპირამდე და ამგვარად მიღებულ ახალ ღიობში (ზომებით b×h=110×240სმ.) მოეწყოს თეთრად ლ
-ანალოგიური თეთრად შეღებილი ფოლადის შესასვლელი კარები უნდა მოეწყოს არსებულ კარის ღიობში.
-მესამე ფანჯრის ღიობში (ზომების შენარჩუნებით) ჩაისვას თეთრი ფერის თანამედროვე "მეტალოპლასტმასი"-ს ფანჯრის შემინული ჩარჩოები.
-სარკმელი უნდა გაგანიერდეს მარჯვნივ 52სმ.-ით და გაიზარდოს სიმაღლეში 69სმ.-ით, რის შემდეგაც ახლად მიღებულ ღიობში (ზომებითb×h=127×110სმ.) ჩაისმება თეთრი ფერის თანამედროვე "მეტალოპლასტმასი"-ს ფანჯრის შემინული ჩარჩოები.
-სარკმლის მიმდებარედ (მის მარცხნივ) წვრილი საკედლე ბლოკის კედელში უნდა მოეწყოს ერთი დამატებითი კარის ღიობი ზომებით b×h=127×110სმ; რომელშიც ჩაისმება თეთრად შეღებილი ფოლადის შესასვლელი კარები
შ.პ.ს. "მონოლითი" გაცნობებთ, რომ სადარბაზოს მხრიდან მიშენებული ნაწილის ზემოაღნიშნული მარცხენა ტორსის კედელი წარმოადგენს წვრილი საკედლე ბლოკით შევსებას და არ გააჩნია ძალოვანი დანიშნულება ამდენად ყველა ჩამოთვლილი სარეკონსტრუქციო სამუშაოს ჩატარება შესაძლებელია და არ გამოიწვევს უარყოფით შედეგებს, მხოლოდ ახლადმოსაწყობი კარის ღიობისა და გადიდებული სარკმლის ღიობების თავზე, მოეწყოს ზღუდარები ფოლადის ორ-ორი კუთხოვანისაგან კვეთით 75×6მმ. კუთხოვანების ნაშვერები ღიობების ორივე მხარეს არ უნდა იყოს 30სმ.-ზე ნაკლები.

გარდა ამისა, მიშენებული მარცხენა ტორსის კედლის შიდა მხარეს (არსებული შენობის ტორსი) მონოლითური რკინაბეტონის პილონებს შორის არსებობს ორი ფანჯრის ღიობი ზომებით b×h=135×142სმ. (მანძილი იატაკის ზედაპირიდან ღიობის რაფამდე 185სმ.). საჭიროა ჩაიჭრას მათი რაფისქვეშა მონოლითური ბეტონის ნაწილი რის შემდეგაც ახალი ღიობების ზომა იქნება b×h=142×320სმ.
საკითხის შესახებ შ.პ.ს. "მონოლითი გაცნობებთ, რომ ღიობების ამგვარი რეკონსტრუქცია შესაძლებელია მხოლოდ ღიობები მოჩარჩოვდეს ფოლადის კუთხოვანებით კვეთით 125×8მმ. კუთხოვანები ერთმანეთთან დაკავშირდეს ელექტროშედუღებით ფოლადის თამასებით სისქით 8მმ. სიგანით 100მმ. თანასებს შორის მანძილი სინათლეში ვერტიკალური მიმართულებით მივიღოთ 40სმ. მონტაჟის შემდეგ რეკონსტრუირებული ღიობები შეილესოს მაღალი მარკის (M100) ცემენტ-ქვიშის ხსნარით.

შ.პ.ს. "მონოლითი"-ს /გ. იაშვილი/
დირექტორი.
მთავარი ინჟინერი. /მ. საველიძე/

არსებული სიტუაცია



საპროექტო სიტუაცია







არსებული ორი იდენტური ფანჯრის ღიობის ჩაჭრა

